

სერბო სვანები

ეკონომიკის დოქტორი, ქუთაისის უნივერსიტეტის და
ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი,
ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის ხელმძღვანელი

საგამოცემო ობიექტების დაგებმორის შესახებ

ბიზნესის მდგრადი განვითარების სამსახური

ქვეყნის ეკონომიკურ აღორძინებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მეწარმეობის, მათ შორის საშუალო და მცირე ბიზნესის განვითარებას. ამისათვის კი აუცილებელია სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზის არსებობა. კერძოდ, ისეთი საგადასახადო გარემოს შექმნა, რომელიც დააკმაყოფილებს მეწარმეთა ინტერესებს და იმავდროულად გათვალისწინებული და დაცული იქნება სახელმწიფოს ინტერესები

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს ერთობლივი შიგა პროდუქტის სტრუქტურაში დიდი ადგილი უჭირავს ვაჭრობის დარგს, რაც თავის მხრივ, დღის წესრიგში აყენებს ამ სფეროში აღრიცხვისა და საგადასახადო დაბეგვრის სრულყოფის პრობლემას, მის მაქსიმალურად გამარტივებას ისე, რომ ყოველი მეწარმისათვის, მიუხედავად მისი კვალიფიკაციის დონისა, გასაგები და მისადები იყოს როგორც აღრიცხვა-ანგარიშგების, ისე საგადასახადო დაბეგვრის სისტემა. მეწარმეთა, მათ შორის სავაჭრო საქმიანობით დაკავებულთა, მხრიდან ხშირად კიდეც გამოითქმის საკანონმდებლო ბაზის დახვეწის, გამარტივების სურვილი.

შემოთავაზებული წინადადებების აზრი მგდომარეობს იმაში, რომ ვაჭრობის სფეროს ობიექტების მოქმედი დამატებული ღირებულების გადასახადით (დღგ-რომლებთაც წარმოეშვა დღგ გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება და მოგების (საშემოსავლო გადასახადი-ინდივიდუალური საწარმოს შემთხვევაში) გადასახადით დაბეგვრის ნაცვლად შემოღებულ იქნეს ერთი ბეგარა პირობითი სახელწოდებით: ვაჭრობიდან გადასახადი ან შემოსავლიდან გადასახადი, რომლის მიხედვითაც დგინდება გარკვეული პროცენტული განაკვეთი სავაჭრო საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალზე.

დაბეგვრის აღნიშნული მიღგომა მოქმედი კანონმდებლობით გარკვეულწილად რეალიზებულია კიდეც სპეციალური დაბეგვრის რეგიმით შემოღებული და მოქმედი მცირე ბიზნესის გადასახადით, რომლის დედააზრი არის შემოსავლების მირითადში 5 %-იანი განაკვეთით დაბეგვრა ბრუნვის მოცულობის(ოდენობის) გარკვეული დიაპაზონში-30000 ათასი ლარიდან 100000 ათას ლარამდე, მაგრამ სწორედ აღნიშნული საკითხები საჭიროებს ზუსტად განხილვა-დაზუსტებას.

აღნიშნულთან დაკავშირებით მიზანშეწონილია კონკრეტული პირობითი მაგალითის განხილვა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციაზე მდგომი ეკონომიკური სუბიექტების პირობით. დავუშვათ, სავაჭრო ობიექტის მიერ შეძენილი 118 ლარიანი საქონლის, რომელშიც 18 ლარი დღგ-ია, მიწოდების (გასაყიდი) თანხა 20 %-იანი სავაჭრო დანამატის პირობებში დღგ-ის ჩათვლით შეადგენს 141.6 ლარს (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1
სავაჭრო ობიექტის მიერ შეძენილი საქონლის გასაყიდი ფასის ფორმირება

№	შინაარსი	სულ	მათ შორის		შენიშვნა
			საქონლის ძირითადი დირექტორი	დღბ	
1	2	3	4	5	6
1	შესყიდული საქონლის დირექტორები	118	100	18	
2	სავაჭრო ობიექტის დანამატი(პირობითად 20 %)	20	20	-	ერიცხება საქონლის ძირითად დირექტორების დანამატის ჯამს
3	გასაყიდ საქონელზე დასარიცხი დღგ თანხა (18 %)	21.6	-	21.6	ერიცხება შეს'იდული საქონლის ძირითადი დირექტორებისა და სავაჭრო დანამატის ჯამს
4	საქონლის გასა'იდი ფასი	141.6	120	21.6	

აღნიშნული ოპერაციის შედეგად ბიუჯეტის კუთვნილი დღგ შეადგენს 3.6 ლარს (21.6-18),თუმცა მოქმედი წესით ეს თანხა შეიძლება კიდევ უფრო შემცირდეს სავაჭრო ობიექტების მიერ მიღებულ მომსახურებაზე გადახდილი დღგ-ის თანხით (მოხმარებულ ელექტრიფიციაზე, წყალზე, ტვირთის ტრანსპორტირებაზე და ა.შ. გადახდილი დღგ), რომელზეც უფლება აქვს მიღოლოს ჩათვლა სავაჭრო ობიექტება.

აღნიშნულის მიხედვით მოგების ფორმირებაში მონაწილეობას იღებს 20 ლარი (ამონაგებ 141.6 ლარს აკლდება დღგ 21.6 ლარი და აკლდება რეალიზებული საქონლის შეს'იდვის ძირითადი დირექტორები 100 ლარი). საშუალოდ თუ ავიდებო გაწეულ ხარჯებს, რომ მან შეადგინა სავაჭრო დანამატის (20 ლარი) 25 %-5 ლარი, მაშინ მოგება დარჩება 15 ლარი და მოგებიდან გადასახადი შეადგენს 2.3 ლარს. მაგრამ აქაც ფაქტორივი ხარჯი ყოველთვის მეტი იქნება 25%-ზე, სავარაუდოდ 50-70%, რაც შეამცირებს მოგებას და შესაბამისად, ბიუჯეტის კუთვნილი მოგებიდან გადასახადს.

ამდენად, სულ ბიუჯეტში მისაღები გადასახადის თანხის მაქსიმუმი სავარაუდოდ 5.9 ლარია (3.6+2.3).

ამ წესით ადრიცხადაბეგვრისას დამახასიათებელი ნიშანია ბუღალტრული ადრიცხვის შედარებითი სირთულე (დღგ-ს გამოყოფის, მისი ცალკე ადრიცხვის, საქონლის სავაჭრო დარიცხვის მექანიზმი და ა.შ.), კონტროლის სიმებულე, გადასახადებისა და მათი გაანგარიშების სიმრავლე-სირთულე და ა.შ. მხედველობაშია მისაღები გადამხდელთა კონტიგენტი და მათი კვალიფიკაციის დონე (არიან როგორც იურიდიული პირები, ისე ფიზიკური პირები, ინდივიდუალური მეწარმეები, რომლებიც სრულყოფილად ვერ ფლობენ ბუღალტრული ადრიცხა-ანგარიშების მეორედობულობის).

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გამო, მიზანშეწონილია განხილულ იქნას დაბეგვრის მექანიზ-

მის ცვლილების-სრულყოფის შესახებ საკითხი. კერძოდ, შეძენილ 118 ლარიან საქონელზე (დღგის ჩათვლით) 20% სავაჭრო დანამატის (23.6 ლარი) შედეგად მისი გასაყიდი ფასიდან, რაც 141.6 ლარია, ცალ-ცალკე გადასახადების გაანგარიშებისა და ამოდების ნაცვლად, მიზანშეწონილია ამონაგები ნავაჭრი თანხის საშუალო შეწონილი კოეფიციენტი (5%) დაბეგვრარის შედეგადაც ბიუჯეტში ამოსადები გადასახადის თანხა **7.0** ლარს შეადგენს.

ვაჭრობიდან (შემოსავალზე) გადასახადის გაანგარიშება წარმოდგენილია წინამდებარე ცხრილში (იხ. ცხრ. 2).

ცხრილი 2.

ვაჭრობიდან (შემოსავლიდან) გადასახადის გაანგარიშება

№	შინაარსი	სულ	მათ შერის		შენიშვნა
			საქონლის ძირი-თადი დირ-ება	დღგ	
1	2	3	4	5	6
1	შეს'იდული საქონლის დირებულება	118	100	18	
2	დარიცხული სავაჭრო დანამატი (პირობითად 20 %)	23.6	-	-	ერიცხება შეს'იდული საქონლის მთლიან (დღგ-ს ჩათვლით) დირებულებას
3	საქონლის გასა'იდი ფასი	141.6	-	-	

ვაჭრობიდან გადასახადი	გადასახადის განაკვეთი %	თანხა
20 %-მდე სავაჭრო დანამატის დროს	5	7.0

ამდენად, არათუ მცირდება დღეს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობით ანალოგიურ პირობებში მოზიდული ბეგარის(გადასახადების) მოცულობა (**5.9 ლარი**), არამედ პირიქით იზრდება (**7.0 ლარი**), რაც იძლევა დასაბეგრი განაკვეთის დივერსიფიცირების საშუალებას.

მიწოდებიდან მიღებული (ნავაჭრი) თანხის დასაბეგრი განაკვეთი შემოთავაზებული წესით დაბეგრისას მერყეობს 3%-დან 25%-მდე, გამომდინარე თბიექტების საშუალო სავაჭრო დანამატის ოდენობიდან(იხ. ცხრ. 4).

აღნიშნული სისტემა გააფართოვებს აღრიცხვაში მოქცეული საქონელბრუნვის მოცულობას, რის შედეგადაც გაიზრდება სახელმწიფოს კუთვნილი გადასახადის ოდენობა. იმავდროულად, ეს მისადებია მეწარმეებისათვისაც, ვინაიდან გარკვეულად მარტივდება აღრიცხვა და თან მეწარმეებისათვის ცნობილია მათ მიერ გადასახადი თანხა, ასე ვთქვათ, ფიქსირებულია ყოველი 100 ლარი შემოსული, ნავაჭრი თანხიდან გადასახადის თანხა, რომელიც შედარებით იოლად გამოსათვლელია (იხ. ცხრილი 3).

ცხრილი 3.
გადასახადის გამოანგარიშების წესი (ათ. ლარი)

№	შინაარსი	ვარიანტი		შენიშვნა
		I	II	
1	2	3	4	5
1	თვის დასაწყისში სავაჭრო ობიექტში არსებული საქონლის ღირებულება	100.0	-	ფიქსირდება თვის დასაწყისში ინვენტარიზაციით
2	თვის განმავლობაში მიღებული საქონლის ღირებულება	100.0	120.0	ტარდება „საქონლის მიღების აღრიცხვის ურნალში“
3	საქონლის ნაშთი თვის ბოლოს	150.0	-	დგინდება თვის ბოლოს ანუ მომდევნო თვის 1 რიცხვის მდგომარეობით
4	თვის განმავლობაში რეალიზებული საქონლის ღირებულება (სტ. 1+სტ. 2-სტ. 3)	50.0	120.0	
5	თვის განმავლობაში ნავაჭრო თანხა	60.0	144.0	გამოითვლება, ფიქსირდება საკასო აპარატისა და გახარჯული „გა'იდვის ჩეკების“ ჩვენების მიხედვით.
6	საშუალო შეწონილი სავაჭრო დანამატი (სტრ.5-სტრ. 4) : სტრ.4 100%	20	20	

7. გაჭრობიდან გადასახადი

საშუალო შეწონილი სავაჭრო დანამატი	გადასახადის განაკვეთი %	გადასახადის თანხა (სტრ. 5 სტრ. 7-ის ს. 2-ზე)
20 %-მდე	5	7.1

საშუალო შეწონილი სავაჭრო დანამატი ავტომატურად არეგულირებს სავაჭრო ობიექტის მიერ სხვადასხვა დასახელების საქონელზე სხვადასხვა ოდენობის სავაჭრო დანამატის დარიცხვას და ყოველი მათგანის წილს რეალიზებული საქონლის მოლიან მოცულობაში.

იმავდოთულად, აღნიშნულ სისტემაში ჩადებულია სავაჭრო ობიექტებში საქონლის და საქონელბრუნვის აღრიცხვის კონტროლის (მათ შორის, როგორია სავაჭრო დანამატის ზოგადი ოდენობა, მისი ცვლილების ტენდენცია და აქედან გამომდინარე, ცალკეული გადამხდელის მაჩვენებლები რამდენად ჯდება საერთო ზოგად კონტექსტში), სავაჭრო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვაში სრულად ასახვის მექანიზმი.

ამ მეთოდით კონტროლის ექვემდებარება და მიიღწევა:

1. სავაჭრო ობიექტების მიერ შეძენილი საქონლის სრულად აღება შემოსავალში. აღურიცხავი საქონლის დაფიქსირებისას ტარდება კანონით გათვალისწინებული ფინანსური და აღმინისტრაციული სანქციები; შეძენილი საქონელი ტარდება საგადასახადო ინსპექციაში

რეგისტრირებული „საქონლის შეძენის აღრიცხვის“ ჟურნალში, ხოლო ბუღალტრულ აღრიცხვაში (იურიდიულ პირებში), იმავდროულად სრული დირექტულებით (დღგ-ის ჩათვლით) აიღება შესაბამის ანგარიშზე;

1. ნავაჭრი თანხის სრულად აღრიცხვა სალარო-საკასო აპარატებისა და ე.წ. საქონლის „გა'იდვის ჩეკების“ მეშვეობით. სალარო აპარატი თავისთავად დალუქტულია საგადასახადო ინსპექციის მიერ, ხოლო საქონლის „გაყიდვის ჩეკები“ არის ნომრიანი ქვითარი (მიზანშეწონილია დღგ-ის ანგარიშფაქტურების მსგავსად მკაცრი აღრიცხვის), რომელიც მოთხოვნის საფუძველზე საგადასახადო ინსპექციის მიერ დაეწერება სავაჭრო ობიექტს და შემდეგ მოწმდება ხარჯვა. სავაჭრო ობიექტი ძირითადად მუშაობს საკასო-სალარო აპარატით, ხოლო რაიმე ობიექტური მიზეზების შემთხვევაში (ელექტროგიის გამორთვა, აპარატის გაფუჭება) ანუ ფორს-მაჟორულ სიტუაციაში დროებით ე.წ. საქონლის „გაყიდვის ჩეკებით“, რომლის ყვა აღგილზე რჩება და მისი ხარჯვა ადგილად კონტროლებადია. აღსანიშნავია, რომ „გაყიდვის ჩეკები“-ით ისპობა ის ვაკუუმი, რომელიც ობიექტურ თუ სუბიექტურ მიზეზთა გამო სალარო აპარატების უმუშევრობის პირობებში წარმოიშობა და ამავე დროს არ ავალდებულებს და შესაბამისად ათავისუფლებს მეწარმე სუბიექტებს დამატებითი, ე.წ. საოთადარიგო, სალარო აპარატის შეძენისაგან, რაც შესაბამისად გარკვეული ფინანსური დანახარჯების დაზოგვასთანაც არის დაკავშირებული, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესის შემთხვევაში ამასთან, ის სტიმულირებას გაუსაკუთრებს მეწარმის მოტივაციას, რაც შეიძლება მოკლე დროში აღადგინოს საკასო-სალარო აპარატი.

აღნიშნული მეთოდით მარტივდება სავაჭრო ობიექტებში ბუღალტრული აღრიცხვა (როგორც ასეთი, ის აღარ არის პირდაპირ გადამხდელი დღგ-ის, თუმცა ბიუჯეტში დღგ არაპირდაპირი ფორმით მაინც ამოდის), მცირე სავაჭრო ობიექტებში „სამეწარმეო საქმიანობის შესახებ“ კანონის შესაბამისად საკმარისია აღრიცხვის გამარტივებული ფორმა (საქონლის მიღება ფიქსირდება, „საქონლის შემოსავლის აღრიცხვის ჟურნალში“, ხოლო ნავაჭრი თანხა, ამონაგები - სალარო-საკასო აპარატით.

იმავდროულად დაწესებული მოთხოვნების შეუსრულებლობისა და უგულებელყოფის შემთხვევაში გატარდება კანონით გათვალისწინებული ფინანსური და ადმინისტრაციული სანქციები, რომლებიც მიუღებელს გახდის სავაჭრო ობიექტებში აღურიცხავი საქონლის ბრუნვას. მთავარია სისტემატური კონტროლი, რომ გაყიდულ საქონელზე გამოიწეროს სალარო-საკასო აპარატის ქვითრის გარეშე საქონლის მიწოდების, რეალიზაციის ფაქტის დაფიქსირების, მისი გამოვლენის სხვადასხვა მეთოდი არსებობს, მაგრამ აქ მთავარია, რომ თვის განმავლობაში ასეთი ფაქტის ერთხელაც დაფიქსირება, ფინანსური და ადმინისტრაციული სანქციებიდან გამომდინარე მიუღებელი იყოს მეწარმისათვის.

აღნიშნული მეთოდი გამოიწევს სავაჭრო ობიექტებში აღურიცხავი საქონელბრუნვის შეკვეცას, რაც იმავდროულად გაზრდის წარმოების სფეროს მიერ წარმოებული და მიწოდებული პროდუქციის აღრიცხვაში მიმოქცევის მოცულობას.

მიგვაჩნია, რომ გადასახედია სავაჭრო ობიექტების გადასახადებით დაბეგვრის მოცულობა. ის არ უნდა იყოს მიზანშეწონილზე მეტი, რადგან ასეთ შემთხვევაში აღგილი აქვს ვაჭრობის სფეროს შეკვეცას და აღურიცხავი საქონლის ბრუნვის ზრდას. ამდენად, თუ არ იქნა შესაბამისი ეკონომიკური ბერკეტი და სტიმული, მხოლოდ კონტროლის სისტემა და ადმინისტრირება სასურველ შედეგს ვერ მოგვცემს, დღვენდელ პირობებში საშიშროება იმისა, რომ ბეგარის განაკვეთის შემცირება მისაღები თანხების მოცულობის კლებას გამოიწვევს, არ არის სწორი,

ვინაიდან კლება გადაფარული იქნება აღრიცხვა-ანგარიშგებაში მოქცეული საქონელბრუნვის მოცულობის ზრდის ხარჯზე, ხოლო მეტარმის ფულადი და მატერიალური სახსრების ზრდა საშუალო და მცირე ბიზნესის განვითარების წინაპირობაა. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია დაბეგვრის განაკვეთის ორ ვარიანტად წარმოდგენა სავაჭრო დანამატის საშუალო შეწონილ ოდენობასთან მიმართებაში.

ცხრილი 4.

გადასახადების განაკვეთების დიფერენციაცია

1		2	
საშუალო შეწონილი სავაჭრო დანამატი	გადასახადის განაკვეთი %	საშუალო შეწონილი სავაჭრო დანამატი	გადასახადის განაკვეთი %
1	2	3	4
20 %-მდე	5	10 %-მდე	3
20%-დან 30 %-მდე	6	10%-დან 20 %-მდე	4
30%-დან 40 %-მდე	7	20%-დან 30 %-მდე	5
40%-დან 50 %-მდე	8	30%-დან 50 %-მდე	7
50%-დან 60 %-მდე	9	50%-დან 70 %-მდე	10
60%-დან 70 %-მდე	10	70%-დან 100 %-მდე	15
70%-დან 80 %-მდე	11	1000%-დან 150 %-მდე	20
80%-დან 90 %-მდე	12	100 %-ის ზევით	25
90%-დან 100 %-მდე	13		
100 %-ის ზევით	15		
და ა. შ.			

პირველი ვარიანტის მიხედვით საშუალო შეწონილი სავაჭრო დანამატთან მიმართებაში დადგენილი გადასახადის განაკვეთებით ბიუჯეტში მიმართული თანხა უახლოვდება მოქმედი დაბეგვრის სისტემით ბიუჯეტში სავაჭრო ობიექტებიდან დღგ-ის, მოგების (საშემოსავლო) გადასახადის მეშვეობით მისაღებ თანხებს, მაგრამ შესაძლებელია მათი გამსხვილებაც (საშუალო შეწონილი სავაჭრო დანამატის) და გადასახადის განაკვეთების კორექტირება ისე, რომ გარკვეული სტიმული ჩაიდოს. ამდენად, მეორე ვარიანტი უფრო მიზანშეწონილია.

შემოთავაზებული მეთოდით ბიუჯეტობა ანგარიშწორება ხდება ჩვეულებრივად ყოველთვიურად, რითაც მატულობს და ჩქარდება მოზიდული თანხების ოდენობა და ბრუნვა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სავაჭრო ობიექტებიდან ბიუჯეტში მნიშვნელოვანი ნაწილი ნადირი ანგარიშწორებით შემოდის.

ბიუჯეტში მობილიზებული თანხების განაწილება მოქმედ გადასახადებს (თუ საჭიროება

შეიქმნება-ცენტრალურ და ტერიტორიულ ბიუჯეტებისთვისაც შორის) მოხდება ხაზინის მეშვეობით. გაყოფის (თუ რომელ გადასახადს რა წილი უჭირავს) პროცენტული განაკვეთის გამოთვლა არ წარმოადგენს სირთულეს. მაგალითად, დღგ-ის წილი ამ ფორმით მობილი-ზებული თანხის მოლიან მოცულობაში 60-65 %-ის ფარგლებშია.

ამასთან, გადასახედია ის აბსურდული სიტუაცია, რომელიც შეიქმნა თავის დროზე მიკრო ბიზნესის დაბეგვრის რეჟიმის შემოდებით, როცა საერთოდ განთავისუფლდა გადასახადისაგან ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელ პირთა ცალკეული კონტიგენტი. ამას არა მარტო ფისკალური, არამედ სოციალ-ფსიქოლოგიური მომენტიც ახლავს-უმჯობესია არა საერთოდ გავანთავისუფლოდ, არამედ გადავახდევინოთ სავარაუდო შემოსავლის ოდენობის გათვალისწინებით და დავიცვათ დაბეგვრის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი – ამდენად, გადასახადი უნდა გადაიხადოს ყველამ ვისაც გარკვეული შემოსავალი აქვს, საჭმაოდ მცირე ოდენობით, მაგრამ მაინც, რომ ჩამოუყალიბდეს და გაუჩნდეს შეგრძნება, რომ ისიც დებულობს მოკრძალებულ წელილს სახელმწიფო კონსოლიდირებული შემოსავლების ფორმირებაში. მითუმეტეს არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება, როცა მიკრო ბიზნესის მქონე პირს უფრო მეტი შემოსავალი აქვს, მათ შორის, საარსებო მინიმუმს ზევით და ის საერთოდ განთავისუფლებულია, ხოლო პირობითად საბიუჯეტო ან სხვა სფეროს მუშაკის, სადაც ვერ და არ ხერხდება აღურიცხაობა ან უფრო მნელია, მას გბეგრავო, თუგინდ საარსებო მინიმუმს ქვევით იყოს მისი შემოსავალი (ამ კატეგორიაზე გადახდილი თანხების კომპენსაციის, უკან ანაზღაურების ამჟამად შემოდებული მეთოდი რამდენად ეფექტური იქნება, ამას უახლოესი მომავალი გვაჩვენებს).

უნდა აღინიშნოს, რომ შემოთავაზებული დაბეგვრის წესი ითვალისწინებს საქონლის მოძრაობის სრული ციკლის დაბეგვრას დღგ-ით, ვინაიდან წარმოებისა და ბრუნვის ყველა ეტაპზე და ყველა დონეზე იქმნება დამატებული დირებულება, მათ შორის როცა ბრუნვა 100000 ლარზე ნაკლებია. მოქმედი სისტემით გამოდის, რომ მას არ გბეგრავო დღგ-ით. რატომ-ადმინისტრირებად მნელი? მაშინ ისევ დაბეგვრის ფუნდამენტური მოთხოვნის (სამართლიანობისა და თანაბრობის) ნაწილობრივ უგულვებელყოფა ხდება. აღნიშნული ფრიად მნიშვნელოვანი საკითხია და დამატებითი განხილვის და მსჯელობის საგანია.